აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

10 ნოემბერი, 2017

დადგენილება № 11 (17/18)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზაფხულისა და ზამთრის სკოლის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზაფხულისა და ზამთრის სკოლის ორგანიზების წესი დამტკიცდეს თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

თავი I . ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1.ზაფხულისა და ზამთრის სკოლების ფუნქციონირება ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის ბ) და გ) პუნქტების, სხვა ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე და ხელს უწყობს უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესებას.

1.2.ზაფხულისა და ზამთრის სკოლების ფუნქციონირება ხელს უწყობს უნივერსიტეტის ქვეყნისშიდა და საერთაშორისო კავშირების განვითარებას და უცხოელი სტუდენტების მოზიდვას მათთვის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო კურსების შეთავაზების გზით.

მუხლი.2. სკოლის საქმიანობის მიზნები

2.1. ზაფხულისა და ზამთრის სკოლების საქმიანობა ძირითადი მიზნებია:

- ხელი შეუწყოს აკადემიურ დავალიანებაში მყოფ სტუდენტებს სასწავლო პროცესისაგან თავისუფალ დროს აითვისონ კრედიტები სასწავლო წლის განმავლობაში კანონმდებლობით დაშვებული ნორმის (75 კრედიტი) ფარგლებში.

განმარტება: ხშირ შემთხვევებში, იმ გარემოების გამო, რომ სასწავლო კურსს გააჩნია წინაპირობები დავალიანებაში მყოფი სტუდენტი ვერ ახერხებს მომდევნო სემესტრში სწავლის გაგრძელებას. ზაფხულისა/ზამთრის სკოლაში კრედიტების წარმატებით ათვისების შემთხვევაში სტუდენტი შეუფერხებლად შეძლებს სწავლის გაგრძელებას.

2.2. საშუალება მისცეს აწსუ სტუდენტებს, სწავლის საფეხურის შესაბამისად, დამატებით აითვისონ კრედიტები მათთვის საინტერესო სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან, რაც ხელს შეუწყობს მათი აკადემიური და სამეცნიერო ინტერესების უკეთ დაკმაყოფილებას.

2.3. შესთავაზოს საქართველოს ლიცენზირებული უსდ-სა მათთან გათანაბრებული საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო კურსები, მათი შემდგომი აღიარების მიზნით.

მუხლი 3. სკოლის ფუნქციონირება , სტუდენტთა რეგისტრაცია, აკადემიური რესურსი

3. 1. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის ზაფხულის და ზამთრის სკოლის ფუნქციონირება ხორციელდება საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებში, რომელიც გაწერილია სასწავლო წლის გრაფიკში და დამტკიცებულია რექტორის სამართლებრივი აქტით.

3. 2. ზამთრის სკოლა ფუნქციონირებას 3 კვირის განმავლობაში, ხოლო ზაფხულის სკოლა 6 კვირის განმავლობაში, რაც სკოლის მსმენელს შესაბამისად აძლევს 6 და 12 კრედიტის ათვისების საშუალებას.

3.3. სკოლის ფუნქციონირების კონკრეტული ვადები მტკიცდება ყოველ სემესტრში რექტორის სამართლებრივი აქტით.

3.4. სამივე საფეხურის სტუდენტებს ეძლევათ უფლება აითვისონ სასწავლო კურსები არა უმეტეს 2 კრედიტისა სასწავლო კვირის განმავლობაში.

3.5. სტუდენტთა განცხადებების მიღება ხორციელდება სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვის ცენტრში.განცხადებაში მითითებული უნდა იყოს სტუდენტის პირადი მონაცემები და იმ კურსის/კურსების ჩამონათვალი, რომელთა გავლა სურს სტუდენტს.

3. 6. სასწავლო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაციას ახორციელებს ფაკულტეტების დეკანატები.

3.7. ფაკულტეტების დეკანები, სტუდენტთა განცხადებების საფუძველზე, ქმნიან და ბრძანებით ამტკიცებენ სასწავლო ჯგუფებს და უზრუნველყფენონ მათ სწავლების გრაფიკით, სასწავლო აუდიტორიებით და აკადემიური პერსონალით.

3.8. სასწავლო კურსის სწავლება განხორციელდეს აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სილაბუსების შესაბამისად, სრული მოცულობით, სწავლისა და შეფასების მეთოდების სრულად გამოყენებით.

3.9. სკოლების საქმიანობის აკადემიურ უზრუნველყოფას ახორციელებს აწსუ აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რისთვისაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია რექტორის სამართლებრივი აქტით ამტიკიცებს დამატებითი სამუშაოს შესრულების საათობრივ მოცულობას.

3.10. ზაფხულისა და ზამთრის სკოლის მსმენელად შეიძლება ჩაირიცხოს მხოლოდ აწსუ სტუდენტი, საქართველოს ავტორიზებული უსდ-ს სტუდენტი და უცხოეთის შესაბამისი სტატუსის მქონე უსდ-ს სტუდენტი. სტუდენტის ჩარიცხვა ხდება მისი სტატუსის შესაბამისი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსზე.

განმარტება: ზაფხულისა და ზამთრის სკოლები საქმიანობას წარმართავენ აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული, აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

მუხლი. 4. ფინანსური უზრუნველყოფა

4.1. ზაფხულისა და ზამთრის სკოლაში სწავლა ფასიანია.

4.2. ზაფხულისა და ზამთრის სკოლაში სწავლის საფასური განისაზღვრება მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ წლისათვის დადგენილი სწავლის საფასურის პროპორციულად.

*მაგალითად, თუ სტუდენტს ასათვისებელი აქვს 5 კრედიტი და მოცემულ პროგრამაზე სწავლის საფასურია 2250 ლარი, ზაფხულისა და ზამთრის სკოლაში სწავლის საფასური გამოინგარიშება შემდეგნაირად: 2250/60*5=187,5 ლ. (სადაც 2250 არის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური, 60- სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, 5- სკოლის მსენელის მიერ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა).*